სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

11 სექტემბერი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 136

სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებული განაცხადების დამტკიცების შესახებ

"სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 31 დეკემბრის N1676086 ბრძანებით დამტკიცებული მე-3 ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის 2025 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 31 იანვრის N06 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის პირობების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1119109 11/09/2025) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსში გამარჯვებული განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაფინანსებულმა ორგანიზაციებმა (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) არაუგვიანეს 2025 წლის 16 სექტემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის კანცელარიაში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ ცნობა იმის შესახებ, რომ ორგანიზაციას არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს დანართით გათვალისწინებულ გამარჯვებული განაცხადების ავტორებთან ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2025 წლის 25 სექტემბრისა.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი თ. დოჭვირი

დანართი

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2025 წლის --11--- სექტემბრის N-136- ბრძანებით

2025 წლის სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების ხელშეწყობის კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებლად შერჩეული პროექტები

№	პროექტის შიფრი
1	RIM-25-1037
2	RIM-25-599
3	RIM-25-309
4	RIM-25-299
5	RIM-25-552
6	RIM-25-932
7	RIM-25-352
8	RIM-25-226
9	RIM-25-620
10	RIM-25-573
11	RIM-25-302
12	RIM-25-988
13	RIM-25-535
14	RIM-25-657
15	RIM-25-454
16	RIM-25-577
17	RIM-25-317
18	RIM-25-275
19	RIM-25-529
20	RIM-25-341
21	RIM-25-668
22	RIM-25-940
23	RIM-25-920
24	RIM-25-346
25	RIM-25-530
26	RIM-25-380
27	RIM-25-337
28	RIM-25-861
29	RIM-25-267
30	RIM-25-542
31	RIM-25-292